ბეირუთში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული აღნიშნეს

2021 წლის 28 აგვისტოს, მიძინების დღესასწაულზე – ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა, ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა – ბეირუთში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ფილიპემ (ვასილცევი) ბეირუთის რაიონის ჟალ ელ-დიბის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახ. ტაძარში ცისკარი და საღვთო ლიტურგია აღასრულა .

ლიტრუგიაზე ლოცულობდა ანტიოქიის პატრიარქის წარმომადგენელი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ფილიპოპოლის მიტროპოლიტი ნიფონი.

ტაძარში ბრძანდებოდა რუსეთის ფედერაციის საელჩოს უფროსი მრჩეველი ლიბანში დ. ა. ლებედევი.

კვერექსზე გაისმა ვედრება მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობაზე, მის დაცვაზე განყოფისა და განხეთქილებისგან და ვედრება მავნებელი ჰაერის გავრცელების წინააღმდეგ.

მრჩობლ კვერექსზე ასევე ლოცულობდნენ ბეირუთში აფეთქების შედეგად დაშავებულთა ჯანმრთელობისთვის და მეტოქის ყველა კეთილისმყოფელისთვის.

მრჩობლი კვერექსის შემდეგ თხოვნითი ლოცვა იქნა აღვლენილი კორონავირუსული ინფექციისგან გამოსახსნელად, ექიმების საჯანმრთელოდ და სულიერებაში განსამტკიცებლად, და სნეულთა განსაკურნელად.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის სადიდებელი აღესრულა.

შემდეგ ფილიპოპოლის მიტროპოლიტმა ნიფონმა დღესასწაულის თემაზე ქადაგება წარმოთქვა.

ბეირუთის მეტოქის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ფილიპემ (ვასილცევი), მეუფე ნიფონის მსახურების უნიკალურობა აღნიშნა, მან მადლობა მოახსენა იერარქს ერთობლივი ლოცვისთვის და იმედი გამოთქვა მომავალ თანამშრომლობასა და ლოცვით ურთიერთობაზე.

შემდეგ ბსალიმში, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქში, ძმური ტრაპეზი გაიმართა.

იმავე დღეს მიტროპოლიტმა ნიფონმა მოკლე ინტერვიუ მისცა ბეირუთში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქის საიტს. კერძოდ, მეუფემ ბრძანა:

„ვდღესასწაულობთ რა დღეს, ლიბანში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებას, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ დღეს წმინდა ძღვენი მივიღოთ. იმიტომ რომ, როცა ჩვენ ვიღებთ წმინდა ძღვენს – ეს ჩვენთვის დღესასწაულია. და რაც უნდა მოხდეს ქვეყანაში, ქრისტეს წმინდა საიდუმლოს ზიარება გვეხმარება ჩვენ სწორად მოვეპყრათ ერთმანეთს, სწორად ვიმოქმედოთ ადამიანებთან. ლიბანი ძალიან მძიმე დროში ცხოვრობს და ამიტომ ზიარება ჩვენ ძალიან გვეხმარება, გვაძლევს ძალას. განსაკუთრებული ძალა მივიღეთ ჩვენ დღეს ბეირუთის სამრევლოსთან ერთად, საღვთო ლიტურგიის აღსრულების გზით განსაკუთრებულ სიყვარულს ვეზიარეთ. მხოლოდ სიყვარულის გზით არის

შესაძლებელი ყველა პრობლემის გადაწყვეტა“.

ბეირუთში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქის

საიტის მასალების მიხედვით/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87933/